

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია + ევროპის განვითარების დღეები 2022

2022 წლის 21-22 ივნისს ბრიუსელი უმასპინძლებს ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან ფორუმს, [ევროპის განვითარების დღეებს 2022 \(EDD\)](#) საერთაშორისო პარტნიორობის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია ევროკომისიის მიერ.

წლებანდელი გამოშვება სახელწოდებით „**გლობალური კარიბჭე: მდგრადი პარტნიორობის შექმნა სამყაროში სანდო კავშირებისთვის**“ მიეძღვნება არა მხოლოდ ევროპულ სტრატეგიას, არამედ იმას თუ როგორ გავაუმჯობესოთ და ხელი შევუწყოთ მას ციფრული, ენერგეტიკული და ტრანსპორტის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით, იქნება ის სფერო, რომელშიც ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA) თავის წვლილს შეიტანს!

ამრიგად, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA) შეუერთდება ამ საერთაშორისო ღონისძიებას [მეტად აქტიუალური თემით „ურბანული განვითარება, ჭკვიანი და ურთიერთდაკავშირებული ქალაქები](#). ერთად, კარგი მმართველობის ხელშეწყობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“.

კონკრეტულად, [პროექტის AUTREMENT](#) კოზიტიურ მაგალითზე დაყრდნობით, რომელიც ამჟამად ხორციელდება ტუნისის ქალაქებში, კაირუანსა და მაჰდიაში სტრატეგიაში მდებარე ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) ოფისის მიერ, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება პროექტის კარგი პრაქტიკა მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ, რაც შეიძლება მაგალითი იყოს სხვა ქალაქებისთვის.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA) შეუერთდება ევროპის განვითარების დღეებს 2022 თემით „ურბანული განვითარება, ჭკვიანი და ურთიერთდაკავშირებული ქალაქები“

ჩვენი სტენდი უზრუნველყოფს მონაწილეების ჩართვას ციფრული ხელსაწყოების საშუალებით: წარმოდგენილი იქნება არა მხოლოდ ინფორმაციული სლაიდები ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) შესახებ, არამედ ინტერაქტიული ვიქტორინა მობილობასა და მდგრადობაზე! ამრიგად, მონაწილეობა მდგრადობის დროშის ქვეშ და... აღმოჩენა!

ევროპის განვითარების დღეები მიზნად ისახავს „საზოგადოების გაერთიანებას ყოველწლიურად, რათა გაუზიარონ ერთმანეთს იდეები და გამოცდილება ისე, რომ ჩამოაყალიბონ ახალი პარტნიორობა და მიიღონ ინოვაციური გადაწყვეტილებები მსოფლიოს ყველაზე მწვავე გამოწვევებისთვის“.

ჩვენ მოხარულები ვართ და ვამაყობთ, რომ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ ასეთ დინამიურ და გადამწყვეტ ღონისძიებაში. უფრო მეტიც, ევროპის განვითარების დღეები 2022 იქნება შესანიშნავი ადგილი ასოციაციის (ALDA) ინიციატივის [„ევროპული მხარდაჭერა ადგილობრივი დემოკრატიისადმი“](#) კიდევ ერთხელ წარმოსაჩენად.

ინიციატივა გულისხმობს ასოციაციის (ALDA) ექსპერტიზის სრულ მიმოხილვას ყველა სამიზნე რეგიონში და ხაზს უსვამს თანამშრომლობის ფუნდამენტურ როლს.

სასარგებლო ბმულები:

- [შეამოწმეთ ევროპის განვითარების დღეების გლობალური სოფლის რუკა](#)
- [იხილეთ ევროპის განვითარების დღეების 2022 პროგრამა](#)